European Bank
for Reconstruction and Development

Project
Complaint
Mechanism

საჩივარი: შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგური

მომართვის ნომერი: 2018/03

საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასების ანგარიში – 2018 წლის მაისი

პროექტების გასაჩივრების მექანიზმი არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისადმი (შემდეგში ევრობანკისადმი) ანგარიშვალდებული მექანიზმი. ის იძლევა ევრობანკის პროექტების შესახებ ერთი ან მეტი პირის ან ორგანიზაციის საჩივრის დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას, რომელმაც სავარაუდოდ უკვე გამოიწვია ან მომავალში გამოიწვევს ზიანს. პროექტების გასაჩივრების მექანიზმმა საკითხი შეიძლება ორი ფუნქციის საშუალებით მოაგვაროს. ესენია: შესაბამისობის მიმოხილვა, რომლითაც განისაზღვრება რამდენად ასრულებს ევრობანკი მის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას ან/და კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დათქმებს საჯარო ინფორმაციის პოლიტიკიდან; პრობლემის მოგვარება, რომლითაც მომჩივანსა და კლიენტს შორის დიალოგის აღდგენაა ნაგულისხმევი ბრალდებებისა და დადანაშაულების გარეშე საჩივარში მითითებული პრობლემ(ებ)ის გადასაჭრელად. საქმესთან დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება ამ ფუნქციებიდან რომელიმე ან ორივე მოითხოვონ.

პროექტების გასაჩივრების მექანიზმის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ან ეწვიეთ ჩვენ გვერდს შემდეგ ბმულზე www.ebrd.com.

საკონტაქტო ინფორმაცია

კითხვების ადრესატი:

პროექტების გასაჩივრების მექანიზმი
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
პირველი საფონდო ბირჟის მოედანი, ლონდონი
გაერთიანებული სამეფო, საფოსტო ინდექსი EC2A 2JN
ტელ: +44 (0)20 7338 6000
ფაქსი: +44 (0)20 7338 7633
ელ. ფოსტა: pcm@ebrd.com

http://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/project-complaint-mechanism.html

პროექტების გასაჩივრების მექანიზმში მომართვის წესი

ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით მუშაობის გასაჩივრება შესაძლებელია ელ. ფოსტით, ტელეფონით ან წერილობის გამოგზავნით ზემოთ მითითებულ მისამართზე ან ინტერნეტში სპეციალური ფორმის შევსებით:

http://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/project-complaint-mechanism/submit-a-complaint.html

სარჩევი

მოკლე ანოტაცია ხელმძღვანელი პირებისთვის 3

I. მიმოხილვითი ინფორმაცია 4

II. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასებისთვის გადადგმული ნაბიჯები..... 5

III. მხარეთა მოსაზრებების შეჯამება 5

IV. პრობლემის მოგვარების ინიციატივისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა..... 8

V. დასკვნა..... 11

პრობლემის მოგვარების ინიციატივის ტექნიკური დავალება..... 12

დანართი 1: საჩივარი..... 15

დანართი 2: 17

ბანკის ხელმძღვანელობის პასუხი მომჩივანს 17

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ანგარიშში მთავრული ასოებით გამოხატული ტერმინები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესებით განსაზღვრული ცნებებია.

მოკლე ანოტაცია ხელმძღვანელი პირებისთვის

პროექტების გასაჩივრების მექანიზმს საქართველოს შუახევის მუნიციპალიტეტის მახალაკიძეების სოფლის რაბათის თემის წევრებმა საჩივრით მომართეს. მომჩივანი მხარე წუხილს გამოთქვამდა მეწყრული პროცესების რისკის თაობაზე; სასმელ და სარწყავ წყალზე, მდინარის კალაპოტში წყლის დონეზე და სოფლის მიკრო-კლიმატზე მომხდარი ეფექტის შესახებ, რაც საქართველოში ევრობანკის შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის პროექტს (შემდეგში „პროექტი“) უკავშირდება. მომჩივანი თავის მიმართვაში პროექტების გასაჩივრების მექანიზს სთხოვდა პრობლემის მოგვარების ინიციატივისა და შესაბამისობის მიმოხილვის ჩატარებას. წერილობითი საჩივრის შემდეგ უშუალო შეხვედრებისას მომჩივანი დიდ უპირატესობას ანიჭებდა პრობლემების მოგვარების ინიციატივას. ამიტომ, წინამდებარე დოკუმენტში - საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასების ანგარიშში - ამაზე კეთდება აქცენტი პროექტების გასაჩივრების მექანიზმის მიერ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლებმა დაადგინეს, რომ საჩივარი აკმაყოფილებს პრობლემების მოგვარების ინიციატივის პირობებს, შეესაბამება პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურულ წესებს, სახელდობრ პუნქტებს 24-26 და 28-29. საჩივარი:

- შემოტანილი იქნა განსაზღვრულ ვადებში;
- აღწერს პროექტების გასაჩივრების მექანიზმის მოთხოვნილ ფუნქციებს;
- აღწერს სამიზნე შედეგებს;
- იძლევა ადეკვატურ ინფორმაციას ბანკთან და კლიენტთან კომუნიკაციის შესახებ;
- ასახელებს პრობლემების გადაჭრის ინიციატივის შესაბამის საკითხებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლებს მიაჩნიათ, რომ პრობლემების გადაჭრის ინიციატივა სავარაუდოდ დადებით ეფექტს იქონიებს;
- პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 28-ე პუნქტით განსაზღვრული არცერთი კრიტერიუმით არ არის დისკვალიფიცირებული.

პროექტების გასაჩივრების მექანიზმის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლები მიიჩნევენ, რომ საჩივარი აკმაყოფილებს პრობლემების გადაჭრის ინიციატივის კრიტერიუმებს.

I. მიმოხილვითი ინფორმაცია

1. 2018 წლის 14 თებერვალს პროექტების გასაჩივრების მექანიზმში შემოვიდა საჩივარი, რომელიც უკავშირდება საქართველოში ევრობანკის შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურს.[1] საჩივარი წარმოდგენილი იქნა ადგილობრივი თემის წარმომადგენლების მიერ, რომელიც საქართველოს შუახევის მუნიციპალიტეტის მახალაკიძეების სოფლის რაბათის დასახლების 22 კომლის სათქმელს გამოხატავს და ევრობანკის პროექრით გამოწვეულ გარემოსდაცვით და სოციალურ პირობებზე გავლენის შესახებ წუხს. საჩივარში მოთხოვნილია პრობლემის გადაჭრის ინიციატივისა და შესაბამისობის განხილვის ჩატარება პროექტების გასაჩივრების მექანიზმის მიერ.

2. მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ ბანკს ან/და კლიენტთან საკითხის მზაობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერმა საჩივარი 2018 წლის 15 მარტს გაატარა რეგისტრაციაში პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების პუნქტების 11-13 შესაბამისად. ამდენად, საჩივარი ატვირთული იქნა პროექტების გასაჩივრების მექანიზმის რეესტრში როგორც ინგლისურ, ისევე ქართულ ენებზე - პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების მე-20 პუნქტის თანახმად.

3. 2018 წლის 29 მარტს ბატონი კონსტანტინ ადი გავრილა დაინიშნა საგანგებო ექსპერტად პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერთან საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასების განსახორციელებლად პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 22-ე პუნქტის თანახმად.

4. პროექტების გასაჩივრების მექანიზმს ესმის, რომ ადგილობრივმა თემმა იმავე საჩივრით მიმართა აზიის განვითარების ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. პროექტების გასაჩივრების მექანიზმი უწყვეტ რეჟიმში ურთიერთობს ორივე ამ დაწესებულების დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის წარმომადგენლებთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფუნქციების დუბლირება ან/და მხარეთა ზედმეტი შეწუხება არ მოხდეს, პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 23-ე პუნქტის თანახმად.

5. ევრობანკის შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის პროექტი მოიცავს 86.5 მილიონი აშშ დოლარის (63.7 მილიონი ევროს) ოდენობის მთავარ კრედიტს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასადმი“ (შემდეგში „ბანკის კლიენტი“ ან „კომპანია“) შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის განვითარების, მშენებლობისა და ფუნქციონირების დასაფინანსებლად. ეს ჰესი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდინარე აჭარისწყალზე განთავსდება (შემდეგში „პროექტი“). შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის დადგმული სიმძლავრეა 185 მეგავატი, ხოლო ელ. ენერგიის მოსალოდნელი გამომუშავებაა 452 გვ/სთ. ჰესი დაპროექტებულია როგორც მოქმედ მდინარეზე აგებული სადგური, რომელიც ორ წყალსაცავს ამუშავებს და შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურს აძლევს 12 საათამდე წყლის გაჩერების და პიკური მოთხოვნისას ელ. ენერგიის გაყიდვის შესაძლებლობას.

6. პროექტის საშუალებით ეკონომიკის გარდაქმნის ეფექტი სამი ფაქტორიდან მომდინარეობს. ესენია: (i) მეტად ფართომასშტაბიანი კერძო საკუთრება, რაც ბაზარზე ახალი მოთამაშის

[1] საჩივარი 2018/03, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე http://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/project-complaint-mechanism/pcm-register.html და დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს.

გამოჩენით არის განპირობებული, რომელიც საქართველოს ელ. ენერგიის გენერაციის ბაზარზე კონკურენციას გაუწევს სხვა სუბიექტებს; (ii) დაფინანსების ახალი მეთოდების დემონსტრირება იმდენად, რამდენადაც ეს პროექტი პირველი ელ. ენერგიის პროექტი იქნება საქართველოში, რომლითაც დაფინანსების შეზღუდული მოთხოვნა იარსებებს (iii) კორპორატიული მმართველობის და ბიზნესის წარმოების სტანდარტების დანერგვა, რათა საქართველოში ჰიდრო ელექტრო სადგურის პროექტის პოტენციალი გამოყენებული იქნეს გაუმჯობესებული სტანდარტების შემოღებისთვის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების კვალობაზე. ევრობანკის დირექტორთა საბჭომ პროექტი 2014 წლის 30 აპრილს დაამტკიცა და მას A კატეგორია მიენიჭა 2008 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის[2] საფუძველზე.

II. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასებისთვის გადადგმული ნაბიჯები

7. საკვალიფიკაცოო მოთხოვნების შემფასებლებმა წარმოდგენილ საჩივართან ერთად მომჩივანის, ევრობანკის ხელმძღვანელობისა და კლიენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის ზოგადი შემოწმება ჩაატარეს, რათა დადგენილიყო შესაბამისობა პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურულ წესებში განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

8. საწყისი სატელეფონო საუბარი შედგა მომჩივან თემთან, კლიენტი კომპანიისა და ბანკის თანამშრომლებთან. ადგილზე კონსულტაციები გაიმართა პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ექსპერტისა და თანამშრომლის მიერ 2018 წლის 18-22 აპრილის პერიოდში.

9. ცალკე შეხვედრები მოეწყო მომჩივან თემსა და კლიენტ კომპანიასთან. ამ შეხვედრებისას მხარეებმა დაადასტურეს ინტერესი პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში დიალოგისთვის ფორუმის უზრუნველყოფის მიმართ, რათა განხილული იქნეს საჩივარში აღწერილი პრობლემები.

III. მხარეთა მოსაზრებების შეჯამება

1. მომჩივანი

10. მომჩივანმა თემმა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები წამოჭრა, რაც შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურთან დაკავშირებით მეწყრული პროცესების რისკებს, წყაროებსა და გარემოსდაცვით ეფექტს უკავშირდება. მომჩივანმა თემმა საკუთარი წუხილი წერილობით გაუზიარა პროექტების გასაჩივრების მექანიზმს. საუბარი შედგა ვიდეო ზარითაც 2018 წლის 6 აპრილს, რასაც მოჰყვა ორი შეხვედრა ადგილობრივ თემში - საქართველოს შუახევის მუნიციპალიტეტის მახალაკიძეების სოფლის რაბათის დასახლებაში 2018 წლის 19-21 აპრილს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მომჩივანი მხარის მტკიცებით:

- პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ ხორციელდებოდა ბურღვებისა და აფეთქებების მეთოდების გამოყენებით, რათა აჭარისწყალის მდინარისთვის მიმართულება

[2] შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის პროექტის ანოტაციური დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/shuakhevi-hpp.html.

შეეცვალა და ამ პროცესში არ ხდებოდა ადგილობრივი თემის გარემოსდაცვითი და სოციალური პირობებისადმი მიყენებული ზიანის გათვალისწინება.

- მომჩივანმა თემმა ბევრჯერ წამოჭრა უსაფრთხოების საკითხი კომპანიასთან საუბრისას, თუმცა ისინი არწმუნებდნენ, რომ პროექტით გამოწვეული ეფექტი მათ ყოფაზე უმნიშვნელო იქნებოდა.
- პროექტმა გავლენა იქონია სასმელ და სარწყავ წყალზე, მდინარის კალაპოტში წყლის მოცულობაზე, სოფელში შეცვლილ მიკრო-კლიმატზე, ხოლო აჭარისწყალის მდინარეში შემცირებულმა წყლის დონემ გავლენა იქონია მოსავლიანობაზე სარწყავი წყლის უკმარისობის გამო.
- 2014 წელს თემის წევრებმა, კომპანიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს, რომლის თანახმადაც კომპანიამ და ადგილობრივმა მთავრობამ ვალდებულება იკისრეს ზიანის კომპენსაციაზე თუ ზიანი პროექტით იქნებოდა გამოწვეული.
- მახალაკიძეების სოფელში არსებული გეოლოგიური მდგომარეობის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ადგილობრივი თემის წევრებს სათითაოდ 25 000 ლარი შესთავაზა. (მახალაკიძეების სოფლის ნაწილმა) რაბათის დასახლების 22 მცხოვრებმა (მოდავე მხარემ) უარი განაცხადა შეთავაზებულ კომპენსაციაზე, რადგან არასაკმარისად მიიჩნიეს და იქვე დასძინეს, რომ ამით 2014 წელს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება არ სრულდებოდა.
- ადგილობრივმა თემმა ეს საკითხები უშუალოდ კომპანიას, ადგილობრივ მთავრობას და ევრობანკს გააცნო, თუმცა ეს მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა.[3]

11. მახალაკიძეების სოფლის რაბათის დასახლებაში ორი შეხვედრა შედგა იმ ოჯახებთან, ვინც უშუალოდ პროექტის გავლენის ქვეშ მოექცა. ამ შეხვედრებს შემდეგი მიზანი ჰქონდა:

- შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ ადგილობრივი თემის ურთიერთობაში გარკვევა - პოზიტიური გავლენის და გადასაჭრელი საკითხების გათვალისწინებით;
- მომჩივანი მხარის საჭიროებებში გარკვევა;
- პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პრობლემების გადაჭრის ფუნქციის განმარტება სწორი მოლოდინის შექმნის მიზნით;
- მომჩივანი მხარის მოსაზრებებში გარკვევა იმის თაობაზე თუ იქნება (ან არ იქნება) პრობლემების გადაჭრის ინიციატივა სარგებლიანი; კონსტრუქციული დიალოგის წარმოების ინტერესის შეფასება;
- ადგილობრივი თემთან დაბრუნება და პროექტების გასაჩივრების მექაანიზმის სასურველი ფუნქციის შესახებ კომპანიის მოსაზრებების გაცნობა;
- მომჩივანი მხარის მოსაზრებების განხილვა კონსტრუქციული დიალოგის პროცესისთვის ჩარჩო შეთანხმებაში შესატანი პირობების შესახებ;

12. გაახლებთ მომჩივან მხარესთან ადგილზე გამართული შეხვედრების ძირითად შედეგებს:

- მომჩივანი მხარე ითხოვს მახალაკიძეების სოფლის რაბათის დასახლებაში მათი აქტივების ინვენტარიზაციას და შესაბამისი კომპენსაციის პაკეტის განსაზღვრას

[3] საჩივარი 2018/03, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/project-complaint-mechanism/pcm-register.html და თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს.

ინდივიდუალურ საფუძველზე – დამფინანსებელი უწყებების მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის მიზნით.

- ყველა შეხვედრაზე ადგილობრივი თემის წევრები წუხილს გამოხატავდნენ პოტენციური მეწყრული პროცესებით გამოწვეული პრობლემის საფუძველზე და იმედს გამოთხვამდნენ, რომ კომპანია თანახმა იქნება პროექტების გასაჩივრების მექანიზმის მიერ გაძღოლილი პრობლემების გადაჭრის ინიციატივაში ჩართვაზე და შეძლებისდაგვარად ორი სხვა საერთაშორისო უწყების დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმის შესაძლო მონაწილეობაზე.
- პროექტების გასაჩივრების მექანიზმის გუნთან ადგილზე გამართული შეხვედრების დროს საუბრისას მომჩივანმა მხარემ პრიორიტეტულად მიიჩნია პრობლემების მოგვარების ინიციატივა და იქვე დასძინა, რომ შესაბამისობის მიმოხილვის ფუნქცია სამომავლოდ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული - პრობლემების გადაჭრის ინიციატივის შედეგების კვალობაზე.
- მომჩივანი მხარე და კომპანია თანახმანი არიან, რომ პროექტების გასაჩივრების მექანიზმმა მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს სხვა ორი საერთაშორისო უწყების დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმს ამ საჩივრის შეფასების კონტექსტში.[4]

2. ბანკის ხელმძღვანელობა

13. საჩივრის შესახებ წერილობით პასუხში ევრობანკის ხელმძღვანელობამ მხარდაჭერა გამოხატა პროექტების გასაჩივრების მექანიზმის მიერ პრობლემების გადაჭრის ინიციატივის ჩატარებაზე. ბანკი განმარტავს, რომ საჩივრის ადრესატი - შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის კრედიტორთა ჯგუფი (მათ შორის ევრობანკი) - გულდასმით ადევნებს თვალს შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის პროექტს დამოუკიდებელი კრედიტორების კონსულტანტების (LESC) დახმარებით როგორც პროექტის დამტკიცების შემდეგ, ისევე მშენებლობის მთელ პროცესში.

14. ევრობანკმა აღნიშნა, რომ ბევრი საკითხია წამოჭრილი ადგილობრივი თემის მიერ და ისინი ამჟამად განიხილება კომპანიას, ადგილობრივ თემსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ წრეებს შორის. კრედიტორთა დასკვნაა, რომ კომპანია ადეკვატურ ნაბიჯებს დგამდა ამ პრობლემების მოსაგვარებლად და რომ პროექტი აგებულია კრედიტორთა გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის შეფასების შესაბამისად, რომელიც გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმისგან, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის ყველა შესაბამისი სისტემიდან მომდინარეობს.

1. მომჩივანი მხარე აცხადებს, რომ მათ საჩივრით კრედიტორთა ჯგუფს მიმართეს 2017 წლის აგვისტოში და პასუხი არ მიუღიათ, თუმცა ბანკის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ კრედიტორთა ჯგუფის ერთმა წევრმა მაინც უპასუხა წერილს და მასში წამოჭრილ პრობლემებზე სასაუბროდ მომჩივან მხარეს შეხვდა კიდეც კრედიტორთა ჯგუფი 2017 წლის ოქტომბერში.

[4] ადგილობრივ თემთან უშუალო შეხვედრები გაიმართა 2018 წლის 19-21 აპრილს.

2. ევრობანკის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია შეიძლება აცდენილი იყოს, თუმცა მედიაციის ან/და პრობლემების გადაჭრის გზით მდგომარეობის გამოსწორების ნებისმიერ შესაძლებლობას მიესალმებიან. მან შეთავაზებებისა ან რეკომენდაციების მიღების სურვილიც გამოხატა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება მომავალში პროექტის განხორციელების გაგრძელება.

3. ევრობანკს ვალდებულება აქვს ნაკისრი წერილის კონკრეტული მახასიათებლებისა და მეტი დეტალების მოწოდებაზე, თუმცა ბანკმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საჩივრის გადაჭრის საუკეთესო გზა უშუალოდ კომპანიასა და ადგილობრივ თემს შორის დიალოგის ხელშეწყობაა.[5]

3. ბანკის კლიენტი

4. ბანკის კლიენტი არის შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ - საქართველოში ერთი კონკრეტული მიზნით დარეგისტრირებული კომპანია, რომელიც ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მდინარე აჭარისწყალზე სამი ჰიდრო ელექტრო სადგურს ააშენებს. მათგან პირველი შუახევის ჰესი იქნება. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ იმყოფება შემდეგი კომპანიების მფლობელობაში: „ქლინ ენერჯი ინვესტი“ (40%), „ტატა პაუერი“ (40%) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის „ინფრავენტურა“ (20%).[6]

5. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერმა კლიენტს საჩივრის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია გააცნო და წერილობითი პასუხისკენ მოუწოდა.

6. პროექტების გასაჩივრების მექანიზმმა 2018 წლის 13 აპრილს ვიდეო ზარი განახორციელა შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან და კომპანიის წარმომადგენლებს შუახევის ბანაკში შეხვდა 2018 წლის 20 აპრილს. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის გუნდმა ასევე დაათვალიერა შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის სამშენებლო მოედანი, დიდაჭარის დამბა და კომპანიასთან მომდევნო შეხვედრა 2018 წლის 21 აპრილს ბათუმში შედგა.

7. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის შეხვედრებზე კომპანიამ პროექტის პრეზენტაცია გააკეთა და შეხების წერტილები მონიშნა შუახევის მუნიციპალიტეტში. კომპანიამ ასევე განმარტა, რომ მუდმივად ცდილობს ადგილობრივ თემთან ურთიერთობას და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრირებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზით შუახევის მუნიციპალიტეტის 18 სოფელში.

8. კომპანია თავის საქმიანობას ვერ უკავშირებს ადგილობრივი თემის მიერ წამოჭრილ პრობლემებს, თუმცა აღნიშნავს, რომ პრობლემების გადაჭრის ინიციატივაში მონაწილეობის სურვილი აქვს ადგილობრივ თემთან ერთად და პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ეგიდით. შეძლებისდაგვარად, ამ პროცესში შესაძლოა ჩაერთოს ორი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმი.[7]

IV. პრობლემის მოგვარების ინიციატივისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა

---

[5] ბანკის ხელმძღვანელობის პასუხი 2018 წლის 2 მაისითაა დათარიღებული და წინამდებარე ანგარიშს თან ერთვის.

[6] შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის პროექტის ანოტაციური დოკუმენტი, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/shuakhevi-hpp.html.

[7] საქართველოში კლიენტთან შეხვედრები შედგა 2018 წლის 20 და 21 აპრილს.

9. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლებმა შეისწავლეს საჩივარი რათა დაედგინათ პროექტების გასაჩივრების მექანიზმის საპროცედურო წესების 24-26 პუნქტებთან შესაბამისობა. ისინი ასევე გაეცნენ ბანკის ხელმძღვანელობის პასუხს და კლიენტის მიერ გამოხატულ მოსაზრებებს, პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 29-ე პუნქტის შესაბამისად.

10. პროექტების გასაჩივრების მექანიზმმა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია გამოითხოვა მომჩივანი მხარისგან, ბანკის თანამშრომლებისა (სახელდობრ, გარემოსდაცვისა და მდგრადობის დეპარტამენტები) და კლიენტისგან, რის შემდეგ საქართველოში გამართა შეხვედრები 2018 წლის 18-22 აპრილს.

11. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 24-ე პუნქტის შესაბამისად საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლები არ ადგენენ რამდენად სარწმუნო, სწორია ან უტყუარია საჩივარში წარმოდგენილი ინფორმაცია და ისე ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან საჩივრის შესაბამისობას.

12. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლებმა განსაზღვრეს, რომ პრობლემების გადაჭრის ინიციატივისთვის დაკმაყოფილებულია პროექტების გასაჩივრების მექანიზმის საპროცედურო წესების 24(ა) პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმები:

- მომჩივანი მხარე შედგება პროექტის არეალში მოხვედრილი კომლებისგან და მათი ეკონომიკური ინტერესი მომდინარეობს ამ პროექტის არეალიდან;[8]

- საჩივარში წამოჭრილია ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის 2008 წლის რედაქციით გათვალისწინებული საკითხები, სახელდობრ პირველი მოთხოვნა „გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეფასება და მართვა“, მეოთხე მოთხოვნა „ადგილობრივი თემი, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და უშიშროება“ და მეექვსე მოთხოვნა „ბიომრავალფეროვნება, ცოცხალი ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია და მართვა მდგრადი განვითარების პრინციპით“.

13. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლებმა ასევე დაადგინეს, რომ პროექტების გასაჩივრების მექანიზმის საპროცედურო წესების 25-ე პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია:

- მომჩივანმა მხარემ საჩივარში[9] აღნიშნა, რომ სურს პრობლემების გადაჭრის ინიციატივა და შესაბამისობის მიმოხილვა განხორციელდეს პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში.

- საქართველოში, ადგილობრივ თემთან პროექტების გასაჩივრების მექანიზმის შეხვედრების დროს აღნიშნული იქნა შემდეგი:

  ჩვენი სირთულეების დასაძლევად პირველი რიგის ამოცანაა პრობლემების გადაჭრის ინიციატივაში მონაწილეობაზე კომპანიის დათანხმება. მოგვიანებით შეიძლება

[8] პროექტების გასაჩივრების მექანიზმის საპროცედურო წესების 1-ელი პუნქტის შესაბამისად „პრობლემების გადაჭრის ინიციატივის განსახორციელებლად საჩივარი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს პრიექტის არეალში მოხვედრილი ერთი ან მეტი ადამიანის ან იმ პირის მიერ, რომელსაც ეკონომიკური ინტერესი გააჩნია - სოციალური და კულტურული ინტერესების ჩათვლით“.
[9] საჩივარი 2018/03, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/project-complaint-mechanism/pcm-register.html და თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს.

შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელება იმ შედეგების მიხედვით, რომელსაც პრობლემების გადაჭრის ინიციატივის განხორციელებისას მივიღებთ..[10]

- პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცესის შედეგად ადგილობრივი თემი ელის შემდეგს:

  გვსურს აღვნიშნოთ, რომ კომპანია უარზეა პასუხისმგებლობა იკისროს და შეისწავლოს პრობლემების რეალური მიზეზები. ამდენად, საერთაშორისო ბანკებისგან ვითხოვთ გამოიკვლიონ რამდენად ხდება შუახევის ჰესის პროექტით, მისი გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის ანგარიშითა და ფაქტობრივი სამუშაოებით ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების დაკმაყოფილება. მიგვაჩნია, რომ პროექტში ბევრი საკითხი (გეოლოგიური, სოციალური და სხვ.) იქნა იგნორირებული და ამან წარმოშვა ეს პრობლემატიკა. შესაბამისად, ერთის მხრივ ვითხოვთ პროექტით გამოწვეული პრობლემების მოგვარებას, ხოლო მეორეს მხრივ - ევრობანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან პროექტის შესაბამისობის ანალიზს.[11]

- მომჩივანმა მხარემ წარმოადგინა ბანკთან მიმოწერის ასლები და მიუთითა, რომ 2017 წლის აგვისტოში ბანკში გაგზავნილ წერილზე პასუხი არ მიუღია. მომჩივანმა მხარემ ასევე დასძინა, რომ უშუალოდ კომპანიასთან სცაა ამ საკითხების დასმა სანამ პროექტების გასაჩივრების მექანიზმს მიმართავდა. ასევე, მომჩივანმა მხარემ წარმოადგინა საჩივართან[12] დაკავშირებული მხარდამჭერი დოკუმენტაცია.

14. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 26-ე პუნქტის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლებმა უნდა გაითვალისწინონ რამდენად წაადგება დავის მოგვარებას პრობლემების გადაჭრის ინიციატივა ან რამდენად სავარაუდოა დადებითი შედეგების მიღწევა. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლები მიიჩნევენ, რომ პრობლემების გადაჭრის ინიციატივა შეიძლება დაეხმაროს პროცესს მახალაკიძეების სოფლის რაბათის დასახლების ბინადართა მიერ წამოჭრილი საკითხების გადაჭრაში და დადებითი შედეგების მიღწევა შესაძლებელია. ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა რამდენიმე ფაქტორი:

    - მხარეებს საკმარისი დაინტერესება გააჩნიათ შეთანხმების მიღწევაში;

    - მომჩივანი მხარე - პროექტის არეალში მცხოვრები მოსახლეობა - და ბანკის კლიენტი შეხვედრებში ან სხვა ფორუმებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ პრობლემების მოგვარების ინიციატივის ფარგლებში;

    - მხარეებს საერთო ინტერესები გააჩნიათ, რადგან თემის უსაფრთხოება და კონსტრუქციული დიალოგი სურთ;

    - პროექტების გასაჩივრების მექანიზმი აცნობიერებს, რომ მომჩივანმა იმავე პრობლემატიკით აზიის განვითარების ბანკის ანგარიშვალდებულების მექანიზმს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საჩივრების მრჩეველ-ომბუდსმენს მიმართა. პროექტების გასაჩივრების მექანიზმი სისტემატიურად აწარმოებს ურთიერთობას ამ ორი

---

[10] საქართველოში მომჩივან მხარესთან შეხვედრები 2018 წლის 19 და 21 აპრილს გაიმართა.

[11] საჩივარი 2018/03, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/project-complaint-mechanism/pcm-register.html და თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს.

[12] *იხილეთ ზედა სქოლიოს შენიშვნა.*

საერთაშორისო უწყების დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმთან და სხვებთან ერთად ცდილობს იპოვოს ძალისხმევის კოორდინაციის, ინფორმაციის გაზიარებისა და საქმიანობის დუბლირების თავიდან აცილების შესაძლებლობები. პრობლემების გადაჭრის ინიციატივის მომზადების ეტაპზე პროექტების გასაჩივრების მექანიზმი ადგილობრივი თემიდან და კომპანიიდან მოისმენს საჩივრის განხილვისას დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმების მცდელობათა კოორდინაციის უპირატესობებს.

- ამასთანავე, დაჩქარებული წესით ზოგიერთი საკითხის გადაჭრისთვის კონსტრუქციული დიალოგის პოტენციალი უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან ადგილობრივები მეწყრული პროსესების რისკიდან მომდინარე საფრთხის პირობებში ცხოვრობენ.

15. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 28-ე პუნქტის თანახმად, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლებმა დაადგინეს, საჩივარი თაღლითურად ან უსაფუძვლოდ არ ყოფილა წარმოდგენილი. მისი ძირითადი მიზანი არ არის კონკურენტული უპირატესობის მოხვეჭა ინფორმაციის განსაჯაროების ან პროექტის შეფერხების გზით. ასევე, საჩივარი ჯერ არ ყოფილა მოგვარებული სხვა თანა-დამფინანსებელი უწყების მექანიზმის ფარგლებში და არც მესამე მხარის ვალდებულებებს უკავშირდება.

V. დასკვნა

16. ზემოთხსენებული ინფორმაციის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებლებს მიაჩნიათ, რომ საჩივარი აკმაყოფილებს პრობლემების გადაჭრის ინიციატივის კრიტერიუმებს.

პრობლემის მოგვარების ინიციატივის ტექნიკური დავალება

საჩივარი შუახევის ჰესის შესახებ
მომართვის ნომერი: 2018/03

განაცხადი

1. წინამდებარე ტექნიკური დავალება ეხება პრობლემების მოგვარების ინიციატივის ფარგლებში განსახორციელებელ ქმედებებს და ძალისხმევას, რაც გულისხმობს მხარეთა შორის ხელშეწყობილი დიალოგის წარმოებას საჩივარში მითითებული საკითხების ბრალდებების გარეშე განხილვის მიზნით.[13]

2. პრობლემების გადაჭრის ინიციატივის ფარგლებში და წინამდებარე ტექნიკური დავალების თანახმად შესასრულებელი ამოცანები შეიძლება დროდადრო შეიცვალოს და ნებისმიერ დროს მათზე ცხადად უნდა განაცხადონ თანხმობა პრობლემების მოგვარების ექსპერტმა და პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერმა. ეს დათქმა არ ეხება რომელიმე მხარის ინტერესებიდან მომდინარე ან დავების მოგვარების აღიარებულ პრაქტიკასთან შეუსაბამო ცვლილებებს.[14]

პრობლემის გადაჭრის ექსპერტი

3. პრობლემების გადაჭრის ექსპერტმა ეს ინიციატივა უნდა განახორციელოს ნეიტრალური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მუშაობის გზით და მისი სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს მხარეთა საჭიროებების, წუხილისა და ინტერესების ობიექტური და სამართლიანი განხილვა.

ვადები

4. პრობლემების გადაჭრის ინიციატივა დაიწყება პრაქტიკული შესაძლებლობის გაჩენისთანავე, მას შემდეგ რაც ევრობანკის პრეზიდენტი გადაწყვეტს პრობლემების გადაჭრის ინიციატივის განხორციელებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებელთა რეკომენდაციების მიღებას.

5. ნებისმიერი მცდელობა შეძლებისდაგვარად უნდა განხორციელდეს პრობლემების გადაჭრის ინიციატივის დაჩქარებული წესით განხორციელების უზრუნველსაყოფად. დაგეგმილია, რომ პროცესის პირველი ეტაპი - მოლაპარაკებების უნარების გამომუშავებისა და მხარეთა შორის ხელშეწყობილი დიალოგის ჩათვლით - 45 კალენდარულ დღემდე ვადაში დასრულდება.

---

[13] პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პრობლემების გადაჭრის ფუნქცია აღწერილია პროცედურულ წესებში როგორც „მომჩივანსა და ბანკის კლიენტს შორის დიალოგის აღდგენის მიზნის მქონე პროცესი, რომელიც მიმართულია ბრალდებების და ხარვეზების ძიების გარეშე საჩივარში წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად“.

[14] შუამავლების ევროპული ქცევის კოდექსი: http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf.

მიიჩნევა, რომ შემდეგი ეტაპები განპირობებული იქნება პროცესის მოთხოვნებით. პრობლემების მოგვარების ინიციატივა დასრულებულად იქნება მიჩნეული, როდესაც მხარეები მორიგდებიან; როდესაც რომელიმე მხარე გადაწყვეტს, რომ პროცესის გაგრძელება აღარ სურს; ან როდესაც პრობლემების მოგვარების ექსპერტის აზრით მეტი წინსვლის მიღწევა შეუძლებელი იქნება პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 37-ე პუნქტის შესაბამისად.

პროცედურა: პრობლემის მოგვარების ინიციატივის წარმოება

6. პრობლემების გადაჭრის ექსპერტმა შეიძლება ეს ინიციატივა ისე განახორციელოს, როგორც მიიჩნევს საჭიროდ მხარეთა შორის განხილული და შეთანხმებული სამუშაო გეგმის შესაბამისად და პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების გათვალისწინებით, საჩივარში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ და მისი ზოგადი პირობების კონტექსტში. ექსპერტი ისეთ მეთოდებს გამოიყენებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს ხელშეწყობილი ინფორმაციის გაცვლის, შუამავლის მონაწილეობით ორმხრივი და ერთობლივი განხილვების, შერიგების მეთოდების ჩათვლით.

7. პრობლემების გადაჭრის ინიციატივის პროცესში, ექსპერტს შეუძლია:

   a. დიალოგის პროცესის ორგანიზება;
   b. შეთანხმებული სამუშაო გეგმის და ჩარჩო შეთანხმების შედგენა პროცესისთვის - მომჩივან მხარესა და ბანკის კლიენტთან კონსულტაციების გზით;
   c. დიალოგის პროცესის მიზნებისთვის და დღის წესრიგისთვის საბოლოო სახის მიცემა ყველა მხარის მოსაზრებების გათვალისწინებით;
   d. ნაყოფიერი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, რათა მხარეებმა შეძლონ შემოქმედებითი მიდგომების გამოყენება;
   e. სხვადასხვა დაინტერესებული წრისა და მხარის მოსაზრებების ხელშეწყობით გადაწყვეტისკენ სვლა; პრობლემების გადაჭრის ინიციატივის პროცესის დაწყება და წარმართვა;
   f. პროცესის შედეგებისა და შეთანხმებების დაოქმება და გამოქვეყნება მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე და საჭიროებისამებრ;
   g. ყველა მხარის პატივისცემით მოპყრობა; სამართლიან და დაბალანსებულ პროცესში მათი რწმუნება ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მხარეები ინფორმირებულ არჩევანს გააკეთებენ;
   h. საჭიროებისამებრ, დამოუკიდებელ ექსპერტებთან ან/და დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმებთან კოორდინაცია.

   შენიშვნა: პრობლემების გადაჭრის ექსპერტის ფუნქციებში არ შედის მხარეთა ქმდებების, მოსაზრებების, აღქმის მტყუან-მართლის დადგენა ან მხარეთა არბიტრად ქცევა.

პრობლემის მოგვარების ინიციატივის დასრულების ანგარიში

8. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 37-ე პუნქტის შესაბამისად, პრობლემების გადაჭრის ექსპერტმა უნდა მოამზადოს პროცესის დასრულების ანგარიში.

მასში აღწერილი უნდა იქნეს საჩივარში წამოჭრილი საკითხები, პრობლემების გადაჭრისას გამოყენებული მეთოდები; ასევე პრობლემების გადაჭრის ინიციატივის შედეგები, მათ შორის ნებისმიერი გადაუჭრელი საკითხი. ანგარიშში ასევე გამოვლენილი უნდა იქნეს პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცრის მხრიდან შემდგომი მეთვალყურეობის და ანგარიშგების აუცილებლობა.

9. პრობლემების გადაჭრის პროცესის დასრულების ანგარიშის განსაჯაროებამდე, პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერმა ყველა მხარესთან უნდა გადაამოწმოს ეთანხმებიან თუ არა ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებებს, მის განსაჯაროებას და ხომ არ ეწინააღმდეგება რაიმე დათქმა კონფიდენციალურობის პრინციპებს.

10. პროცესის დასრულების ანგარიში ინფორმაციისვის უნდა დაურიგდეთ მხარეებს, ბანკის პრეზიდენტსა და დირექტორთა საბჭოს. მისი განსაჯაროება პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 38-ე პუნქტის თანახმად უნდა მოხდეს.

11. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესების 39-ე პრუნქტის თანახმად, მექანიზმის ოფიცერი მეთვალყურეობას განახორციელებს პრობლემების გადაჭრის ინიციატივის ფარგლებში მიღწეული ნებისმიერი შეთანხმების შესრულებაზე. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერი პრობლემების გადაჭრის ინიციატივის მონიტორინგის ანგარიშების სამუშაო ვარიანტებს შესაბამის მხარეებს წარუდგენს, რომლებსაც გონივრული ვადა მიეცემათ საკუთარი შენიშვნებისა და კომენტარების წარმოსადგენად. თუ პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერი მხარეების შენიშვნებსა და კომენტარებს მიიღებს, მას ხუთი (5) დღის ვადა ექნება ანგარიშის დასასრულებლად, რომელიც შემდეგ გაეგზავნება ბანკის პრეზიდენტსა და დირექტორთა საბჭოს. მას შემდეგ ხუთ (5) სამუშაო დღეში პრობლემების გადაჭრის ინიციატივის მონიტორინგის ანგარიში განსაჯაროვდება და აიტვირთება პროექტების გასაჩივრების მექანიზმის გვერდზე ინტერნეტში. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერი პრობლემების გადაჭრის ინიციატივის მონიტორინგის ანგარიშებს წელიწადში მინიმუმ ორჯერ ან მანამ წარმოადგენს, სანამ პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერი ჩათვლის, რომ მეთვალყურეობა აღარ არის საჭირო.

ვალდებულების გამორიცხვა

12. პროექტების გასაჩივრების მექანიზმის ექსპერტების პრივილეგიებისა და იმუნიტეტის ეჭვის ქვეშ დაყენების გარეშე, პრობლემების გადაჭრის ექსპერტი არ იქნება პასუხისმგებელი რომელიმე მხარისადმი წინამდებარე ტექნიკური დავალების ფარგლებში პრობლემების გადაჭრის ინიციატივის მსვლელობისას რომელიმე ქმედების შესრულებაზე ან შეუსრულებლობაზე.

დანართი 1: საჩივარი

To: Project-Related Grievances and Complaints Body

European Bank for Reconstruction and Development

From: Rabati settlement of Makhalakidze village

Shuakhevi Municipality of Georgia

We wish to file an official complaint relating to Shuakhevi Hydro Power Plant (HPP), which has been financed with Financial Support Facility of the European Bank for Reconstruction and Development (EBRD), Asian Development Bank (ADB) and International Finance Corporation (IFC). According to the initial plan, project should have been financed if and when requirements were met under the Environmental and Social Policies of the referred International Financial Institutions (IFIs).

In August 2017 we communicated with managements of the IFIs in writing in relation with Shuakhevi HPP Project (covering Zemo Adjara, Khulo and Shuakhevi Municipalities) to seek their response to the threats born by the project that put the existence of our village under a question mark.

Unfortunately, our letter had no follow-up from the managements of either the Company, or the banks, as a result of which we decided to file the present complaint.

As we are aware, 187 megawatt capacity of Shuakhevi HPP is funded by your Banks. Hence, project implementation should have followed if complying with your Environmental and Social Standards.

Shuakhevi HPP Project implied the construction of two cascades (39 meters high in Didachara and 22 meters high in Skhalta), along with several derivative tunnels (three tunnels: 5.8; 9.1 and 17.8 kilometers) at various inflows of Adjaristskali River, including the area in the vicinity of our village. Construction works were to be implemented by deploying the drilling and explosion methods. This issue has been raised at numerous occasions and different meetings, though Company officials were assuring us that hits would be so insignificant that we would not even feel them. Moreover, the Company has signed a Memorandum of Understanding (MOU) with our village in 2014, according to which it committed to compensate for the damages, if materialized.

Construction works were performed by Adjaristskali Georgia LLC without even considering such problematic issues as safety of local population, harm caused to local nature and social conditions, intensified landslides (stone and rock falls), impact on the drinking and irrigation waters, impact on the river basin, changes in the micro-climate of the village, reduction of water in the river bed to only 10%. Company later completely ignored the emerged problems and refuses to deliver its commitment.

Plenty of meetings have been held on this topic with government officials, Company representatives and Ministry of Energy of Georgia. They were all in vain. No response followed on the letter sent to the managements of the Banks in August.

Construction of the project has been completed and it left no drinking water in the village; rock falls have been increased, thus threatening the life of local population; landslides have become intensified; trout and other species of fish protected under the IUCN Red Data List of Threatened Species have disappeared from the local river; crops have dropped in volumes; it has become practically impossible to live and exist in the village.

Within the past two years geologists from various public institutions have studied the issue and produced their expertise opinion on the alarming situation in the village, which were caused by the drills and explosions performed in the village in particular and intensified geologic processes in general.

As a result of the current geologic condition, Government of the Autonomous Republic of Adjara has offered us 25000 (twenty-five thousand) GEL instead of making the Company assess the losses and pay a compensation in line with international standards, as elaborated in Clause 2.7 of the MOU concluded with our village in 2014.

It should be noted that construction works were launched without detailed geologic studies and no risk mitigation measures were ever defined. We believe this to be a grave violation of the Environmental and Social Policies of your Banks and the main reason for the current alarming condition in our village.

Considering all the aforesaid, we demand the assets held by the residents of Rabati settlement to be inventoried and respective compensation packages to be defined on an individual basis – in full compliance with the requirements of the IFC.

Hereby, we wish to note that the Company refuses to assume responsibility and to inquire into the real reasons of the calamity. Hence, we request the Banks to study to what extent does the Shuakhevi HPP Project, its Environmental and Social Impact Report and actual works comply with the requirements of your Environmental and Social Policies. We believe that a good number of issues (geology, social, etc.) were ignored in the project, thus leading to the current damages.

Respectively, we request the project-born problems to be addressed on the one hand and project compliance analysis with your Environmental and Social Standards on the other hand.

Most Respectfully Yours,

Signatures

List of full names, personal identification numbers, phone numbers, e-mails and signatures.

09-02-2018

დანართი 2:

ბანკის ხელმძღვანელობის პასუხი მომჩივანს

ევრობანკის ხელმძღვანელობა მომართვის წერილში წამოჭრილ უკლებლივ ყველა საკითხს დეტალურად შეეხება თავის საპასუხო წერილში, თუმცა მედიაციის, პრობლების გადაჭრისა და სხვა კრედიტორებთან კოორდინაციის შესაძლებლობების დაუყოვნებლივი გამოყენების ინტერესებიდან გამომდინარე, ევრობანკის ხელმძღვანელობას შეუძლია შემდეგი ინფორმაცია წარმოადგინოს.

შუახევის ჰიდრო ელექტრო სადგურის კრედიტორთა ჯგუფი (რომელიც მოიცავს ევრობანკს), რომელიც მომართვის წერილის ადრესატია, გულდასმით ახორციელებდა მეთვალყურეობას პროექტს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დამოუკიდებელი კონსულტანტების (LESC) დახმარებით დაფინანსების დამტკიცების დღიდან და მშენებლობის მთელს პროცესში. კრედიტორთა ჯგუფის მიერ განხორციელებული მეთვალყურეობით დასტურდება, რომ კომპანია აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივ მოსახლეობასთან იმ საკითხებთან კავშირში, რაც მომართვის წერილშია წამოჭრილი. ასე იყო პროექტის დაწყების მომენტიდან და კრედიტორთა ჯგუფმა შეაფასა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კომპანიის პასუხები ხსენებულ წერილში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.

წამოჭრილ საკითხთაგან ბევრი - ადამიანების უსაფრთხოება, მეწყრული პროცესების რისკი, შენობების/აქტივების მთლიანობა, გავლენა წყლის ხარისხსა და ოდენობაზე, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, აქტივების ინვენტარიზაცია, პროექტის არეალში გავლენა/გავლენის ქვეშ მოხვედრილი პირები, სხვ - მიმდინარე რეჟიმშიც დეტალურად განიხილება კომპანიასთან, კონტრაქტორთან, ადგილიბრივ თემებთან და პროექტის სხვა დაინტერესებულ წრეებთან და მხარეებთან. კრედიტორები ასკვნიან, რომ კომპანია ადეკვატურ ნაბიჯებს დგამდა ყველა საჭირბოროტო საკითხის მოსაგვარებლად და რომ პროექტი აგებულია კრედიტორთა გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების, პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური გავლენის შეფასებისა და მასზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის შესაბამისად და აკმაყოფილებს გარემოსდაცვით და სოციალური საკითხების მართვის სისტემებს.

მომართვის წერილში ნახსენებია, რომ კრედიტორთა ჯგუფმა პასუხი არ გასცა იმავე საკითხზე 2017 წლის აგვისტოში ადგილობრივი თემისგან მიღებულ წერილებს. თუმცა კრედიტორთა ჯგუფის წევრის რანგში, ჩვენ სხვგაგვარად გვესმის საკითხი და ვიცით რომ LESC მომჩივან მხარეს შეხვდა 2017 წლის ოქტომბერში ამ საკითხების განსახილველად. წერილობითი პასუხი გაიგზავნა კრედიტორთა ჯგუფის ერთი წევრის მიერ მაინც.

ევრობანკის ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ადგილი ჰქონდა გაურკვევლობას და ამიტომ ევრობანკი მიესალმება მედიაციის ან/და პრობლემის გადაჭრის გზით მდგომარეობის გამოსწორებას. ევრობანკს სურს წინადადებებისა და რეკომენდაციების მიღება მომავალში პროექტის განხორციელების გაგრძელების ან შეცვლის შესახებ.

მომართვის წერილში წამოჭრილ საკითხებზე მეტი დეტალი გამჟავნდება მომდევნო პერიოდში, თუმცა ევრობანკი მიიჩნევს, რომ საკითხის საუკეთესო გადაჭრა იქნება კომპანიასა და ადგილობრივ თემს შორის უშუალო კავშირი და ამიტომ ყოველთვის უჭერს მხარს პრობლემების გადაჭრის ნებისმიერ მცდელობას.